სახალხო გაზეთი

№ 824 შაბათი, 16 თებერვალი 1913 წ. № 824

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში — მორსკაია 11, ვარშავაში — მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში — ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა — **კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში**, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში**,
3) **ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.**

ექიმი გიორგი მიხეილის ძე, ბარბარე მიხეილის ასული, თამარა და არჩილი ღოღობერიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 თებერვალს გარდაიცვალა პირველისა დაუვიწყარი მამა, მეორისა — ძვირფასი მამამთილი და დანარჩენთა — საყვარელი ბაბუა

მიხეილ ბექანის ძე ღოღობერიძე

დაკრძალვა კვირას, 17 თებერვალს, სოფ. გოჩა-ჯიხაიშის მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოში. 110.

ქვრივი მაკრინე გიორგის ასული გომელაურისა და მისი შვილები: დავითი, ნინო, თამარ და ვერა, დედა მაგდანი დავითის ასული, და ევა და ძმა ზაქარია სიმონის ძე გომელაურები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა ქმარი, მეორეთა — მამა, მესამისა — შვილი და მეოთხეთა — ძმა ბუჰლალტრის თანაშემწეთ სახელმწიფო ბანკში ნამყოფი

ილია სიმონის ძე გომელაური

პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე (არკადის ქუჩა, 4). მიცვალებულის გამოასვენებენ კვირას 9 საათზე, ანჩისხატის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 111.

კვირას, 17 თებერვალს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი, განსვენებულ

ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა განსვენებულის **ქვრივი დარია გიორგის ასული ხრამელაშვილისა** და **და სოფიო მაკარის ასული ხუციშვილისა.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. წირვის შემდეგ პანაშვიდი. 1060.

ქ. გ ო რ ი.

კვირას, 17 თებერ. გაიმართება ფრიად **საინტერესო და ორიგინალური**

ვოკალურ-მუსიკალურ-სალიტერატურო
საღამო-მეჯლისი

მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ე ნ:

ვაჟა-ფშაველა — ლექსები
თედო რაზიკაშვილი — ლექსები.
ქ-ნი ვ. ა. დავიდოვისა — სიმღერა.
ქ. მელვინეთ-უხუცესი — როიალი.
დ. აკოფაშვილი — სიმღერა.
ია ეკალაძე — ესკიზი.
ი. სალირაშვილი — თარი.
ნ. გოცირიძე — სცენები.
ს. ფაშალიშვილი — ლექსები.
ი. გრიშაშვილი — ლექსები.

დაწვრილებით პროგრამებში. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ✦ ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია. ბილეთები ამ თავითვე იყიდება: „ქართლის“ რედაქციაში, ქალაქის აფთიაქში **ივ. კვალიაშვილთან** და საურთიერთო ნდობის ბანკში **ალ. ჩუტკერაშვილთან.**

1051 გამგე **ა. გძელიშვილი.**

ტფილისის სავაჭრო ბანკის

დამაარსებელთა

საორგანიზაციო კომიტეტი

ამით უწყებს, რომ, ბანკის წესდების მე-5 § თანახმად,

ბანკის მოქმედების დაწყებისათვის, აქციების ღირებულების ნახევარის შესავსები

40% გადასახადი, რომელიც თითო აქციაზე 100 მან. უდრის,

აქციონერთა ხელის შესაწყობად

მიიღება საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარიაში,

(**ბებუთოვის ქუჩა, სახლი ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა, № 50**),

რათა შემდეგ წარედგინოს სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი ს 11 — 20-დე.

სახელმწიფო ბანკის კანტორაში 40% გადასახადის შეტანის დროს, უნდა წარადგინოს აგრეთვე დროებითი ბარათი 10% გადახდისა და შემდეგ 40% დამატებით შეტანილ გადახდის კვიტანციასთან ერთად უნდა წარადგინოთ საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარიაში, რათა სათანადო წარწერა გაუკეთონ, დროებითი მოწმობის მისაღებად.

სხვა ქალაქების აქციონერებს შეუძლიანთ ეს შემოსატანი ფული ფოსტით გადმოსცენ პირდაპირ **სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორას საორგანიზაციო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშებში ჩასარიცხად 30079 ნომრით,** ან კომიტეტის თავმჯდომარის

ა რ კ ა დ ი ნ ა ზ ა რ ი ს ძ ე მ ი ლ ო ვ ი ს

სახელობაზე, ხოლო 10% შემოტანის დროებითი კვიტანციებიც ამასთანავე უნდა გამოგზავნონ საორგანიზაციო კომიტეტის სათანადო წარწერის მოსახდენად.

ფულის მიღება სწარმოებს დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1½ საათამდე. 1046

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 52.

გ. ვ. გედევანოვის ბენეფისი.

კვირას, 17 თებ., ქართ. დრ. საზ. დასის მიერ **დამსახურებულ მსახიობის**

გედეონ ვასილის ძის გედევანოვის საბენეფისოდ

კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მეორედ შე სპირის პიესა

მ ე ფ ე ლ ი რ ი

ტრაგედია 5 მოქ. და 8 სურათად, თარგმანი **ილია ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა.**

ახალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მარ რაძე, მგალობლიშვილი, ქავიძე, სარაული, ყიფიანი, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს. ადგილების ფასი საბენეფისო.

1040 ადმინ ქართ. დრამ. საზ. რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

კვირას, 17 თებერვალს გაიმართება

ს ა ბ ა ვ შ ვ ო დ ი ლ ა

სამ განყოფილებით: 1 ბავშვები წარმოადგენენ ბ. ახალციხელის მიერ გადმოქართულებულ პიესას — **„ო ბ ო ლ ი“**

2. ლიტერატურულ-ვოკალური განყოფილება ბავშვების მონაწილეობით, ცოცხალი სურათები, საოხუნჯო გასართობები და სხვა.

3. პროჟექტორი განმარტებით ილია ნაკაშიძის მიერ.

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.** გამგე დილისა **ნ. ნაკაშიძე.**

ბილეთები იყიდება „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტ, № 8) და ქართულ თეატრის კასაში. 1056.

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

შაბათს, 16 თებერვალს,

ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა ღ ა მ ო

თეატრის სცენაზე რუსული დრამის არტისტების ამხანაგობის მიერ **კ. გ. ლევიცკის** ხელმძღვანელობით წარმოდგენ. იქმნება:

შ ი კ რ ი კ ი (Вѣстовой), ტრაგედია მინიატიური აფიცების ცხოვრებიდან, 3 მოქმედ. მაზურკევიჩისა.

2, **ნიშნობა საღამოზე** (Сватанная на вечерницяхъ).

მალოროსსიული კომიკური ოპერეტკა 1 მოქ. ხორითა და ცეკვაობით. დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი ახ. კლუბის პრესმანის ხელმძღვანელობით. თეატრში შესვლა უფასოდ, კლუბში — კაცებისა 1 მ., ქალებისა 50 კ., სტუდ. 25 კ. **დასაწყ. საღ. 9 ს.** 1054

კლუბში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

ტფილისის ქალაქის

გ ა მ გ ე ო ბ ა

ქალაქის საბჭოს მიერ 11 იანვრის დადგენილების თანახმად, სთხოვს **სახლის პატრონთა და მოქირავნეთ,** და აგრეთვე დაწესებულებათა და სავაჭრო-სამრეწველოების პატრონთ,

რომანოვთა 300 წლის მეფობის აღსანიშნავ

ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს,

1913 წ. **21 თებერვალს**, სახლები და დაწესებულებანი ეროვნულ ბაირაღებით მორთონ, ხოლო საღამოთი გაჩირაღდნონ. 1059

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოდ.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა,** რადიის პრეპარატებით **და პნევმოტორაქსით.** იღებს **ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ.** 9—1 ს. და საღ. 6—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნაია,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. **ტელეფ.** კუთხე). 7—82. 97.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო მ ფ რ ი ნ ა ვ თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

აცხადებს, რომ კვირას, 17 თებერვალს, ახლად აშენებულ საფრენ მინდორზე, **დ ი დ უ ბ ე შ ი** ტრამვაის სადგურზე, ქართველი მფრინავი

ბ. **ქიბურია** **ა ფ რ ი ნ დ ე ბ ა** 3 საათზე

თავის აშენებულ ჰაეროპლანზე.

ბილეთები გაიყიდება იქვე იმ დღეს, ფასები დაკლებულია. მოწაფენი, ტრამვაის მოსამსახურენი და რკინის გზის მთავარი სახელოსნოს მოხელენი იხდიან ნახევარს. სამხედრო საზოგადოების წევრებს შეუძლიანთ უფასოდ დაესწრონ. 1061.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს კ ე რ ძ ო ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ახვერდოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½.
ქალთა და საშო. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაყაიშვილი ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხუნდაძე ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ., ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა შორის **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ „914“ და წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელოცვარიანი ავადმყოფით. 1035

ელექტრონისა და რენტგენის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლდანოვის ქ. № 20. 1022

ექიმი **კბილისა** **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი ძაქარაშვილისა

ექიმი **ნ. ნ. ჯავახიშვილი,**

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.

იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 67

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. იღებს ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 34, **კიროჩნი ქუჩის ახლო,** საფოსტო განყოფილ. პირდაპირ. 102

საგურთალოზე

მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომიან ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ჶ. 1020

„ვაგზალის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე; კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—[illegible]

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამალი „606"- 1053

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. [illegible] 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. [illegible] № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფთ ყოველ დღე [illegible] 5 ნახ.—6½ საათ. [illegible] № 6.

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ტფილისი, 16 თებერვალი.

სათათბირო და მანიფესტი

რუსეთის მცხოვრები როგორღაც შეეჩვია, თორემ უსათუოდ უკიდურეს სასოწარკვეთილებაში უნდა ვარდებოდეს ყოველთვის, როდესაც კი მოიგონებს, რომ ჯერაც ისევ სალაპარაკოდ არის გადაქცეული, როდის უნდა განხორციელდეს 17 ოქტომბრის მანიფესტი, ან საზოგადოდ საჭიროა თუ არა მისი განხორციელება.

მანიფესტით რუსეთში უსათუოდ უნდა განხორციელდეს თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებებისა, ხელშეუხებლობა პიროვნებისა და სხვა. რამდენი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები წარმოითქვა და იმპერიის უმთავრეს დაწესებულებაში—სახელმწიფო სათათბიროში—ჯერ ისევ ბოროტი გრძნობით დაბრმავებულ აგიტატორებათა სთვლიან იმათ, ვინც მანიფესტის განხორციელებას მოითხოვს. როდესაც კადეტებმა თავიანთი ფრიად ზომიერი კანონ-პროექტები შეიტანეს სათათბიროში, არამც თუ მემარჯვენეებმა, ცენტრმაც კი ეს საქმე აგიტაციად და პოლიტიკანობად მონათლა.

ოქტომბრისტების აზრითაც, თურმე, ის, ვინც მანიფესტის განხორციელებას მოითხოვს, „საქმეს" კი არ აკეთებს, მხოლოდ ლაზღანდარობს, აგიტაციას ეწევა.

თუ ღაღადი მანიფესტის განხორციელებაზე ლაზღანდარობაა, მაშინ რა აზრი აქვს ან თვით მანიფესტს, რომელსაც წარა-მარა ეთაყვანებიან ხოლმე ოქტომბრისტები, ან თვით სახელმწიფო სათათბიროს? რამ გამოიწვია ასეთი სულიერი განწყობილება რუსეთის კანონმდებლობაში? როგორ მოხდა, რომ კანონ-პროექტები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა და სხვა, უმაღლესად აღთქმული და ჯერ ისევ განუხორციელებელი, იმათ, ვისაც დროშაზე 17 ოქტომბრის მანიფესტი უწერიათ, „საქმედ" კი არ მიაჩნიათ, არამედ ლაზღანდარობად? სულ უბრალოდ. მაშინ, როდესაც 17 ოქტომბრის მანიფესტი იწერებოდა, აღთქმული რეფორმები ის მინიმუმი იყო, რომელიც, მთავრობის აზრით, მოძრაობის გაძლიერებას შეაჩერებდა. რუსეთის კონსერვატიული ელემენტები ამ მინიმუმს ჩაებღაუჭნენ და იგი გაიხადეს სამოქმედო გეგმის საფუძვლად.

შემდეგ კი, რეაქციის დროს თან და თან ეს მინიმუმი ისეთ მაქსიმუმად იქცა, რომლისაც თვით ოქტომბრისტებსაც შეეშინდათ. 17 ოქტომბრის მანიფესტი გაცილებით მეტს თავისუფლებას შეიცავდა, ვიდრე კონსერვატორ ოქტომბრისტებსა სურდათ. მათ წინ აღიმართა დილემა, რომლის გადაწყვეტაც ვერ მოახერხეს და რომელიც დღესაც მძიმე ლოდად აწევთ კისერზე. ერთის მხრით მანიფესტია, რომელიც განხორციელებას თხოულობს, მეორე მხრით საკუთარი ბუნება, რომელიც არსებითად თავისუფლებას ვერ ეთვისება. ეს ჰბადავდა ორჭოფულ პოლიტიკას, მესამე სათათბიროს ნიშანდობლივ თვისებას.

ოქტომბრისტები მესამე სათათბიროში ბატონები იყვნენ. ამ ბატონობის დროს მათ მანიფესტი სრულიად დაივიწყეს და ძირითადი რეფორმები შორეულ მომავლისთვის გადასდეს. მცირე რიცხოვანი ოპოზიცია ოქტომბრისტთა გაჯიუტებულ კლდეს ეხეთქებოდა, მაგრამ ვერასა ჰბდებოდა.

ოქტომბრისტების ასეთმა პოლიტიკამ თან და თან განამტკიცა აზრი, რომ ძირითად რეფორმების განუხორციელებლად ძალიან კარგად შეიძლება საკანონმდებლო მოღვაწეობა.

მთავრობის წარმომადგენელნი კანონ-პროექტებს ადგენდნენ. არსებობს, მაგალითად, კანონ-პროექტი ბეჭდვითი საქმის შესახებ. მაგრამ იგი არის არა კანონ-პროექტი ბეჭდვითი საქმის განთავისუფლებისა, როგორც მანიფესტშია ნათქვამი, არამედ ზომები პრესის შეზღუდვისა. ეს კანონ-პროექტი იმდენად არ შეეფერება მანიფესტის დედა აზრს, რომ მთავრობას ჯერაც ვერ გაუბედია მისი შეტანა სახელმწიფო სათათბიროში.

ამაში ოქტომბრისტებს მიუძღვით ბრალი. ოქტომბრისტების ორჭოფულმა მოქმედებამ განამტკიცა ის აზრი, რომ მანიფესტით აღთქმულ თავისუფლებათა განხორციელება შეიძლება შორეულ მომავლისთვის გადაიდოს. ეს აზრი იმდენად შეეთვისა როგორც მთავრობას, ისე რუსეთის კონსერვატორებს, რომ დღეს მანიფესტზე ლაპარაკი პოლიტიკანურ ლაზღანდარობად ეჩვენებათ.

მოახერხებს თუ არა მეოთხე სათათბირო ამ ორჭოფულ მდგომარეობიდან თავის დაღწევას? სათათბიროს თავმჯდომარემ როძიანკომ დიდის ზეიმით აუწყა სათათბიროს წევრებს, მეოთხე სათათბიროს მიზანს 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება უნდა შეადგენდესო. აზრი ფრიად მარტივი და ცხადია. ის, რაც მესამე სათათბირომ დაივიწყა, მეოთხე სათათბირომ უნდა მოიგონოსო. მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი და კადეტების კანონ-პროექტებს თავისუფლებათა შესახებ ფრთები შეაკვეცეს.

მაგრამ გაჭიანურება მაინც ვერაფერს უშველით. თვით ულმობელი სინამდვილე აიძულებს მათ, ერთხელაც არის კატეგორიულად დასვან საკითხი და ასე თუ ისე გადასწყვიტონ: რუსეთი დაუსრულებელ რყევაში დიდ ხანს ვერ იქნება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილე.** კავკასიის ჯარების მთავარ-სარდალმა გრაფმა ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანებანი დაუგზავნა კავკასიის ყველა გარნიზონს, რათა 20 თებერვალს პანაშვიდი გადაიხადონ გარდაცვალებულ მეფეთა ღ იმპერატორთა სულის მოსახსენებლად, ხოლო 21 თებერვალს გადაიხადონ წირვა და სამადლობელი პარაკლისები, რომელსაც პარადები უნდა მოჰყვეს. ამავ დღეს ჯარის-კაცთ უნდა წაუკითხონ რეფერატები დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ. ამას გარდა ჯარის კაცთ აღდღეს საგანგებო კარგი საჭმელი უნდა მოუმზადონ.

21 თებერვალს სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორაში სადღესასწაულო პარაკლისს გადაიხდიან, რომელზედაც მიწვეულნი არიან მთავრობისა, საქალაქო და საზოგადო დაწესებულებათა უმაღლესი წარმომადგენელნი. პარაკლისის შემდეგ კანტორის დარბაზში სტუმართათვის საუზმეს გამართავენ.

17 თებერვალს დედათა საეპარქიო სასწავლებელში სალიტერატურო დილა გაიმართება რომანოვთა მეფობის სამისის წლის იუბილეს გამო.

◆ **ტფილისში უკვალოდ დაიკარგა** ტფ. საშუალო სასწავლებლების (საკომერციო სასწავლებლისა და გიმნაზიების) 8 მოსწავლე. როგორც დაკარგულთა მშობლებმა ცნობა მიიღეს, მოსწავლენი გაქცეულან ბალკანეთის ომში მონაწილეობის მისაღებად. მიღებულია ღონის-ძიებანი დაკარგულთა მოსაძებნად.

◆ სოფ. ალექსანდრეშენის (მუღანში) საკრედიტო ამხანაგობას დაუარსებია **ბამბის სარჩევი პირველი ქარხანა**, რომლის მოქმედებასაც მეტად კარგი შედეგი მოჰყოლია. ამას გარდა გაუხსნია სამეურნეო იარაღებისა, მანქანებისა და სხვა და სხვა თესლეულის საწყობი.

◆ **ფუნიკულერი** მუშაობას დაიწყებს 1 მარტიდან. ფუნიკულერის ამხანაგობამ გადასწყვიტა მამა დავითის მთაზე გაზაფხულზე მრავლად ჩაჰყაროს ხეხილები და ზაფხულში პროჟექტორიც გამართოს.

◆ კვირას, 17 თებერვალს, **სახალხო კითხვები** გაიმართება აუდიტორიებში: საქიმო საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს ქ-ნი ჩარკვიანი: „გარიყული ადამიანი", ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი ჩხეიძე: „ქვანახშირი", ნაძალადევში—ქ-ნი ფავლენიშვილი: „თავდადებულნი ქართველნი", ნავთლუღში—ქ-ნი ჟურული: „როგორ ამზადებენ შუშას".

◆ **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის** ქალაქის მერვე უბნის სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ მ. ს. თათევოსიანცმა გუშინ-წინ ოქმები შეუდგინა შემდეგ ყასბებსა და მეპურეებს: ალიმაშადი ბაირამ-ოღლის, დიმიტრი ჯაფარიძეს, ერასტო ბუხარაშვილს, თევდორე ენუქიძეს, ვიქტორ საგანელიძეს, პეტრე გიორგობიანს, გრიქორ ხაჩატუროვს; სვიმონ ჭელიძეს, ზ. ხაჩატურიანცს და ვასილ მარკელაძეს.

◆ **ქალაქის 1913 წლის ხარჯთაღრიცხვის** ზოგიეროს მუხლში საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მცირე ცვლილებანი შეუტანია. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ამის გამო მოხსენება წარუდგინოს ქალაქის საბჭოს 18 თებერვლის კრებას.

◆ **სერვიტუტები** (ვალდებულებანი მემამულეთა საბალახოებითა და სხვა მიწებით სარგებლობისათვის). კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეულმა სასერვიტუტო კომისიამ საანკეტო ფურცლები დაავალა და საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს კორესპონდენტებს უგზავნის თხოვნით, რათა იკისრონ სერვიტუტების ადგილობრივ ცნობების შეკრება და კომისიისთვის დროზე მოწოდება. ამას გარდა მთავრობა თავის მხრივ აპირებს ცნობათა შეკრებას. მთელ მასალას საბოლოოდ განიხილავენ ადმინისტრაციისა ღ საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. განხილვას დაესწრებიან დაინტერესებულნი პირნიც: გლეხები და მემამულენი.

◆ ვლ. მესხიშვილის იუბილეს გამო, სხვათა შორის, თ-დ ვაჩნაძეთა და აფხაზთა შეერთებულმა საგვარეულომ მიართვა ადრესი და 100 მანათი ფულად.

◆ **ფილოქსერის** გაჩენის გამო კახეთი საფრთხეშია. შესაძლებელია ფილოქსერამ ვენახები სულ გაანადგუროს და მცხოვრებლებმა ვენახების ახლად გაშენება ველარ მოახერხონ ნივთიერ ხელ-მოკლეობის გამო, ამიტომ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ კახელ მევენახეებს რაიმე გზით გრძელ-ვადიანი და ხელმისაწვდომი კრედიტი მოუპოვონ. ამ ჟამად სოფლად არსებობს საკრედიტო ამხანაგობანი, რომელიც ასეთ საქმისთვის სესხს მხოლოდ 5 წლით აძლევს. ამ ხნის განმავლობაში კი ვენახი ისე ვერ გაშენდება, რომ პატრონს შემოსავალი მისცეს. ვენახი ნამდვილს შემოსავალს იძლევა მხოლოდ 9—10 წლის შემდეგ.

◆ როგორც კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ატყობინებენ, **შინაური ფრინველები** გორის მაზრის გარდა ტფილისის გუბერნიაშიც, სახელდობ დაბა სოღანლუღში, იხოცებიან რაღაც სენით. საზოგადოების აზრით, ეს სენი არის ეგრედ წოდებული ფრინველების ხოლერა, რომლის წინააღმდეგაც დაუყოვნებლივ ღონის-ძიების მიღება საჭიროა.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს, რათა **სატყეო-საბაღოსნო კომისიის** წევრი აირჩიოს ნაცვლად გარდაცვლილ ქიარიმ-ბეგ ვექილოვისა და ახალი ხმოსანი ი. ა. თამამშევი საიურიდიო კომისიის წევრად ჩარიცხოს.

◆ **აბასთუმნის ქუჩის გასაფართოვებლად** ქალაქის გამგეობამ მათე სოსინს 240 ოთხკ. საჟენი მიწა ჩამოართვა და ახლა ქალაქის საბჭოს წინადადებას აძლევს, რათა სოსინს მიწის საფასური მისცეს.

◆ საკამენდანტო სამმართველომ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, სამეურნეო ნივთები იყიდოს იმ სადგომებისთვის, რომელიც ქალაქს ჯარისთვის აქვს დათმობილი. ეს საკითხი გადასაწყვეტად გამგეობას ქალაქის საბჭოში შეაქვს.

◆ **საბირჟო ცნობები.** 15 თებერვალს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ 85 მან. 40 კ., აძლევენ 85 მან., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—82 მან. 50 კ., აძლევენ—82 მან. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა აფასებენ — 78 მან., აძლევენ 77 მან. 25 კ.

◆ 17 თებერვალს ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის წევრნი **საუნივერსიტეტო ადგილს** დაათვალიერებენ, სადაც აარჩევენ ადგილს სახელოსნო სასწავლებლისა და შიოევის სახელობის სახელოსნო სკოლის შენობებისთვის.

◆ **პუშკინის ბიბლიოთეკაში.** გუშინ ქალაქის გამგეობამ მიიღო პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის შედარებითი სტატისტიკა, რომლიდანაც სჩანს: წარსულ წლის იანვარში ბიბლიოთეკაში 5565-ჯერ მისულან, სახლში წაუღიათ 4285 წიგნი, ხელის-მომწერი ყოფილა—488 კაცი, შემოსავალი ყოფილა 60 მან 35 კ., მიმდინარე წლის იანვარს სამკითხველოში ყოფილან 10,009-ჯერ გაუტანიათ 6986 წიგნი, ხელის-მომწერი ყოფილა 836 და შემოსავალი ყოფილა 108 მან 5 კ.

◆ **კრწანისის მებაღეებმა** ამხანაგობა შეადგინეს და საერთო ძალღონით წყალი გაჰყავთ ბაღების მოსარწყავად, სამუშაო მიანდეს გ. კლაზარევისა და კომპ. ამხანაგობას წესიერი მორწყვა ბაღებისა შესაძლებელი გახდება 1 მაისიდან.

◆ **მესხიშვილის საიუბილეო კომიტეტს** ახალციხიდან მიუღია 65 მან. მარ. სარდ. ასულ ამირეჯიბის მიერ ახალციხელ ქართველთა შორის შეკრებილი.

◆ ქალაქის თვით-მმართველობის **ნივთიერ განყოფილების** გამგემ ნ. პ. ყარა-მურზამ მოხსენება შეიმუშავა, რომლითაც ქალაქის საბჭოს წინადადებას აძლევს: დაარსოს ცენტრალური ნივთიერი საწყობი. მოხსენებას ჯერ-ჯერობით ქალაქის გამგეობის სამეურნეო კომიტეტი განიხილავს.

◆ ქალაქის გამგეობამ სამსახურიდან დაითხოვა ბუღალტერი თეიმურაზოვი, რომელსაც ბრალდება საქალაქო ადგილების დამტკიცება თავის ნათესავების სახელობაზე. გუშინ ყარა-მურზამ გამგეობას სთხოვა ასლი იმ დადგენილებისა, რომლითაც იგი სამსახურიდან დაითხოვეს გამგეობამ უარი უთხრა. თეიმურაზოვს ახლა გამგეობაზე საჩივარი შეაქვს ქალაქის საბჭოში.

◆ 14 თებერვალს ხალათოვის ქარვასლაში პოლიციამ [illegible] სპარსეთის ქვეშევრდომ თადი-აბდულ-ოღლის გვამი. როგორც ეტყობა იგი მოუკლავთ 3—4 დღის წინედ. ეჭვი მიიტანეს გვერდით ოთახში მობინადრე კალატოზ ქერბალაი ახმედ-იმამზე, რომლის ზოგიერთი ნივთები მოკლულის ოთახში ნახეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ წელს განზრახულია მოიწვიონ ამიერ-კავკასიის **სოფლის მეურნეთა მეორე კრება.** კრების მოწვევა ითავებს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

◆ **კავკასიის მეფუტკრების საზოგადოებაში.** მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა 1,000 მან. მისცა საზოგადოებას მეფუტკრე-ინსტრუქტო

„საქართველოს საეკლესიო ისტორიის მიმოხილვა"

შედგენილი მღვდელმთავრის **დაულინგის** (Dowling) მიერ. ლონდონი, 1912 წ., ფასი 2½ შილინგი (ექვსი აბაზი).

(დასასრული *)

უნდა აღვნიშნო, რომ, როდესაც მე-49 გვერდსა ვწერდი, ეჭვი მქონდა,—განთქმული წმ. ესტატე, ანტიოქიის პატრიარქი, საქართველოში მართლა იყო თუ არა. გარნა ხელნაწერი რომ დავასრულე, ბ-ნმა ოლივერ უორდროპმა ისე პატივი მცა და მომაწოდა **წმ. ნინოს ცხოვრება**, ნაწილი 1-ლი, თხზულება მარჯორი უორდროპის ასულისა და ოლ. უორდროპისა, დაბეჭდილი Clarendon Press-ში, ოქსფორდში, 1900 წ. წინასიტყვაობის მეორე მუხლი (გვ. 5) დამატებითის ნათელსა ჰფენს იმას, რაც დაიწერა ამ წიგნის მე-IV თავში „ანტიოქიისა და იბერიის პატრიარქატის" შესახებ. აი რას ამბობს განსვენებული მარჯორი უორდროპის ასული ამის შესახებ:

„ავტოკეფალური ეკლესია საქართველოსი". დამტკიცებულია, და ურყეველის საბუთებითაც, რომ საქართველოს პირველს ეპისკოპოსს იოანე ერქვა, რადგან იგი ნათლისმცემელი იყო, და ეს სწორედ ესტატე გახლდათ, რომელიც პატრიარქობდა ანტიოქიაში 325 წლიდან 331 წლამდე, როცა იგი გაძევებული იქმნა მგვალებელთა მიერ. 1051 წელს ანტიოქიის სამღვდელოებამ კითხვა აღძრა — პატრიარქობა საქართველოზედაც გავრცელებულიყო. და თითქმის იმავე ხანებში ესტატე ანტიოქელს ეფრემ მცირე იხსენიებს როგორც საქართველოს პირველს ეპისკოპოსს. ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ ვახტანგ გორგასლანის (მე-V საუკუნის დასასრული) მეფობამდე საქართველოს ეკლესია ერთიანულ ეკლესიად გადაიქცა და მეექვსე მსოფლიო კრებამ ავტოკეფალურად აღიარა. დღეს კი..

ზოგი ლეგენდა, ამ წიგნში რომ ჩავურთე წმ. ნინოს შესახებ—ბევრი კი გამოვტოვე—ქართველებს მეტათა სწამსთ. თუმცა საბუთიანათ შეგვიძლიან მათს სინამდვილეს ეჭვის თვალით შევხედოთ, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ იმით შემთხზველნი წმიდა განზრახვით ხელმძღვანელობდნენ ან და ალალის გულითა სწამსთ მათი სინამდვილე. მსგავსათ სხვა მრავალ პოპულიარულ წმინდ ნებისა, ამ შემთხვევაშიაც სინამდვილე და გამოგონილი ერთმანერში ისე მჭიდროდ არის გადახლართული სხვა და სხვა მოთხრობაში, რომ შეუძლებელია კაცმა ერთი მეორეს ჩამოაშოროს.

ერთმა წევრმა შოტლანდიის საგეოგრაფიო საზოგადოებისამ, მახლობელ აღმოსავლეთში მცხოვრებმა, გულდასმით გადაიკითხა მთელი ეს წიგნი და საგულისხმო შენიშვნები გაგვიკეთა. აგრეთვე მოვალეთა ვსთვლი ჩემს თავს იმავე თანამოკალმე მეგობრის წინაშე, ამ წიგნში IX—XVI გვერდებზე მოთავსებულ შესავლისათვის.

მე-V დამატებაში კი მოთავსებულია რამდენიმე შენიშვნა ქართულ ეკლესიის ხუროთმოძღვრობის შესახებ."

წმ. ლუკას მისია
პალესტინა. თიბათვე 1912 წ.

ამ წინასიტყვაობათა შემდეგ წიგნს ჩართული აქვს სია წყაროებისა, რომლებითაც უსარგებლნია პატივცემულ ავტორს. როგორც ვსთქვით, ჩამოთვლილია წიგნები, მხოლოდ ინგლისურად გამოცემული (სხვა ენებიდან თარგმნილი, ან ორიგინალური). სიას მოსდევს საქართველოს საეკლესიო კალენდარი, შედგენილი პლ. იოსელიანის („მოკლე ისტორია საქართველოს ეკლესიისა") ღ Neal-ის („ისტორია აღმოსავლეთის წმიდა ეკლესიისა") თხზულებათა თანახმად. ამ კალენდარში, სამწუხაროდ, ვერა ვხედავთ სახელს თამარისას (1 მაისი), რომელიც საქართველოს ეკლესიამ წმიდათა შორის ჩარიცხა.

ბოლოს იწყება თვითონ წიგნი (33—122 გვ. გვ.), რომელიც ოც და ორ თავად არის გაყოფილი.

I თავი საქართველოს ეკლესიის უძველეს გადმოცემათ ეხება. მოხსენებულია ყოვლად წმ. ღვთისმშობელი, წმ. მოციქული ანდრია, წმ. სიმეონ ზელოტი, წმ. კლიმენტი რომაელი, და ებრაელი ელიოზი.

მე-II თავი (38—43 გვ. გვ.) დათმობილი აქვს წმ. ნინოს და ქრისტეანობის შემოღებას საქართველოში.

მე-III თავი (44—67 გვ. გვ.) აღწერს მცხეთას (მეოთხე საუკუნე) დასაბამიდან დღევანდლამდე.

მე-IV თავი (48—51 გვ. გვ.) ეხება ანტიოქიის პატრიარქს და ივერიას, და განსაკუთრებით პირველ დროის წირვას იოანე ოქროპირისას.

სამ-სამ ოთხ-ოთხ გვერდებზე მოთავსებულია თავები: მე-V „ქართველების ეკლესია იერუსალიმში; მე-VI „სომხებისა და ქართველების ეკლესიები", მე-VII „ტფილისი"; მე-VIII „ათ-ცამეტნი მამანი ასურელნი"; მე-IX „ქართული დაბადება" (მეექვსე საუკუნისა); მე-X „წამება წმიდა შუშანიკისა"; მე-XI „ქართველების მონასტერი წმ. ათონზე" (მეათე საუკუნე); მე-XII „ივერიის მონასტრის დაბადება"; მე-XIII ქართული ხელნაწერები ივერიის მონასტრისა წმ. ათონზე (ამოღებულია ბ. ოლივერ უორდროპის წერილიდან, (დაბეჭდილი The journal of Theological Studies, ივლისი 1911 წ. მე-XIV თავში (მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეები) აღძრულია კითხვა იმის შესახებ,—ქართველები იღებდნენ თუ არა მონაწილეობას ჯვაროსნების ომში. ავტორს, როგორც მის წინასიტყვაობაშიაც აქვს მოხსენებული, დიდად გამოუძიებია ეს კითხვა, ბევრ წყაროებისათვის მიუმართავს, მაგრამ ამაოდ, ქართველების ხსენებაც კი ვერსად უნახავს. ქართულად კი, თუ არა ვცდებით, საკმაო საბუთებია ამის შესახებ და სასურველიც იქმნება პატივცემულს დაულინგს მივაწოდებდეთ, რომ შემდეგ გამოცემაში მაინც მოათავსოს. მე-XV თავი „ბაგრატიდების დინასტიას" შეეხება (მეთერთმეტე საუკუნე); მე-XVI თავი „დიდი თამარ მეფე"; მე-XVII—„რუსუდან დედოფალი" (მეცამეტე საუკუნე); მე-XVIII—ბ-ნ John Maundeville-ის ნათქვამი ქართველებსა და წმ. გიორგის შესახებ (შეცდომითი ახსნა ქართველების სახელწოდებისა: ვითომც სახელი georgian ქართველებს დარქმეოდეს მათის განმანათლებელის წმ. გიორგის სახელისაგან). XIX—ფლორენციის კრება (1439—1442 წლებში, რომელზედაც ქართველებსაც ჰყოლიათ გაგზავნილი თავიანთი წარმომადგენლები: დოროთეოს, ტრაპეზუს (ტრაპიზონდის (?) მიტროპოლიტი, გრიგოლ მიტროპოლიტი და მესამეც სამეფო მინისტრი). XX—„წმ. მოწამე ქეთევანი, დედოფალი კახეთისა"; XXI—მეთვრამეტე საუკუნე: ვახტანგ VI, ერეკლე II და გიორგი XIII. საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრული. მე-XXII თავი ნეტარხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას შეიცავს. ჩვენის მაღალ გონიერის მწყემსმთავრის ქადაგებათაგან ინგლისურად 15 ქადაგება უთარგმნია ეპისკოპოსს მალანს (Malans) და გამოუცია 1867 წ.

ამით თავდება წიგნი. ამას მისდევს დამატებები. I დამატება (123—124 გვ.) ეხება ქართველების ჩვეულებას ცხოველების შეწირვისას. მე-II დამატებაში (რამდენისამე სიტყვით) მოყვანილია ალექსანდრიის პატრიარქის კიპრიანოსის (1767—1783) ნათქვამი, რომლის თანახმად ქართველებს თავიანთი მონასტრები ჰქონიათ ალამინოს (Alamino) მახლობლად, მაზოტის (Mazoto) მაზრაში, კუნძულ კვიპროსზე. მათი მთავარი ახალშენ ნიქოზია (Ni osia) ყოფილა. მაგრა კიპრიანოსი თ-ნაც დასძენს: „ამ ჟ მად კუნძულზე ამათი (ქართველე ბის) წარმომადგენელი არავინ არი ს"-ო. მე-III დამატებაში ქებათა-ქებ განსვენებულ ეპისკოპოს დ—რ ნილ სადმი (Neale) მიმართული.

დასასრულ, მე-IV დამატებად დ ბეჭდილია ის თხოვნა, რომლითა საქართველოს ეკლესიას მიუმართა კონსტანტინეპოლის პატრიარქისა თვის. იმდენად საყურადღებოა ეს თხოვნა ჩვენის მრავალ-წამებულის ეკლესიის მდგომარეობის დასასუ რათებლად, რომ ჩვენს მოვალეობა მიგვაჩნია მკითხველს ზოგიერთი ად გილები გავაცნოთ*). სამწუხაროდ თვით დედანი ხელთ არა გვაქვს დ იძულებულნი ვართ ინგლისურ თარგმანიდან ვთარგმნოთ.

აი ეს თხოვნაცა, რომელსაც წიგნის 127—135 გვერდი უჭირავს:

„საქართველოს ეკლესია მთელ თექვსმეტ საუკუნის განმავლობაში დამოუკიდებელი და ავტოკეფალური იყო, დღეს კი მგლოვიარეა.

საქართველომ ქრისტიანობა მე თხე საუკუნეში მიიღო და რადგან ხანში ბიზანტია და ასურეთი სხვებ მეტად განათლებული ქვეყნები იყ საქართველოს ეკლესიას მჭიდრ

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 823.

*) დღევანდელ პირობებში სიტყვა-სიტყვ გადმოცემა მთელი თხოვნისა შეუძლებლად გვაჩნია. რედ.

რის მოსაწევად. ადგილის მიღების მსურველთაგან თხოვნებს უკვე იღებენ.

საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ლენქორანის მაზრაში, სადაც წინად მეფუტკრებას ძალიან მისდევდნენ, ამ ჟამად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მეფუტკრეობას იმის მიუხედავად, რომ ლენქორანის მაზრა საუკეთესო ადგილს წარმოადგენს ფუტკრის მოსაშენებლად. საზოგადოების აზრით, მიზეზი ის არის, რომ იქ არ იციან ფუტკრის რიგიანი მოვლა და შესაფერ ჯიშის ფუტკრის მოშენება და ამიტომ მეფუტკრეობა იქ მცირე შემოსავალს იძლევა. ამის გამო საზოგადოება ლენქორანის მაზრაში სპეციალისტ-ინსტრუქტორის გაგზავნას აპირობს მცხოვრებთათვის შესაფერ რჩევა-დარიგების მისცემად.

წარსულ წელს საზოგადოებას თაფლის იარმუკა გაუმართავს ორ ადგილას: კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში და ვერის დაღმართან, ანანოვის სახლში. გაყიდულა 286 ფუთი და 36 $^{3}/_{4}$ გირვანქა თაფლი. აუღია 2,990 მან. 54 კ. საშუალოდ თაფლი გირვანქა 25 კ. გაუყიდნია. წელს განზრახვა არის, იარმუკა ავლაბარშიც გამართოს და თუ შესძლებს ბაქოშიც.

19 თებერვალს, საღამო 7 საათზე, კავკასიის საბრეშუმო სადგურის სადგომში მეფუტკრების საზოგადოების საზეიმო კრება მოხდება, რომელზედაც გადაიხდიან საზოგადოების ერთ დამაარსებელთაგანის კ. ა. გორბაჩევის 25 წლის საგრონომიო მოღვაწეობის იუბილეს. ამავე კრებაზე განიხილავენ 1912 წლის მოქმედების ანგარიშს და თანამდებობის პირთ აირჩევენ.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოებაში.** 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა შავად უკვე შედგენილია. 14 თებერვლიდან საზოგადოების გამგეობა მის განხილვას შეუდგა.

განსვენებულმა ნ. ბ. ღოღობერიძემ წ.-კ. საზოგადოებას, სხვათა შორის, დაუტოვა 15,000 მან., რომელიც ამ ჟამად სახელმწიფო ბანკში ინახება. ამ ფულის სარგებლის ერთი ნახევარი, რომელიც წელს 296 მან. უდრის, წიგნების გამოცემას უნდა მოხმარდეს ხოლმე, ხოლო მეორე ნახევარი პრემიად უნდ ეძლიონ საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორებს. წ.-კ. საზოგადოების გამგეობა უკვე შეუდგა პრემიით დასაჩუქრების წესების შემუშავებას.

ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების წიგნთსაცავში ინახავენ ყველა ქართულ გამოცემებს და უცხო ენებზე დაწერილ იმ წიგნებს, რომელსაც კავშირი აქვს კავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს ცხოვრებასთან. ამიტომ სასურველია, ყველა გამომცემლებმა მოაწოდონ ხოლმე საზოგდოებას თავისი გამოცემანი.

საკანონმდებლო დაწესებულებში

დეპეშები.

მინისტრთა საბჭომ განიხილა სახელმწიფო სათათბიროს წევრების მიერ შეტანილი საკანონმდებლო მოსაზრებანი: მართლმადიდებელ ეკლესიების სასარგებლოდ ევროპის რუსეთში 600.000 მან. დადებისა და ამიერ კავკასიისთვის 5.000 მ., სამასწავლებლო ინსტიტუტების რეფორმის, პიროვნების ხელშეუხებლობის, კავშირებისა და კრებების თავისუფლების და სათათბიროში არჩევნების დებულების შეცვლის თაობაზე. საბჭომ სასურველად სცნო პირველ საკანონმდებლო მოსაზრების განხორციელება, თუმცა თანხა არ განუსაზღვრავს, მეორე მოსაზრების თაობაზე საბჭომ მიიღო სახალხო განათლების წინადადება დაარსოს სამასწავლებლო ინსტიტუტთა ახალი შტატი. დანარჩენი მოსაზრებანი საბჭომ შეუწყნარებლად იცნო.

შეკითხვათა კომისიამ არჩევნების გამო შეკითხვების გარჩევის დროს, კადეტთა შეკითხვის ერთი ნაწილი მიიღო. პროგრესისტების შეკითხვა მთლად მიიღო.

სენატმა მოსთხოვა სათათბიროს წევრს ხვოსტოვს განმარტება, მის გუბერნატორობის დროს არჩევნებში ჩადენილ უკანონო მოქმედებაზე შეტანილ საჩივრის გამო.

თავმჯდომარემ მსჯელობა იქონია სათათბიროს საბჭოში შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მიღებულ უარის თაობაზე, წარმოედგინა მას არჩევნების წარმოების საქმე. საბჭომ დაადგინა, მიჰმართოს ამავე თხოვნით მინისტრთა საბჭოს. თუ მინისტრთა საბჭომაც უარი შეუთვალა, მაშინ სათათბიროში წამოაყენებენ საკითხს; სამოსაზრებოთ არ იძლევა მინისტრთა საბჭო არჩევნების წარმოების საქმეს.

სათათბირო და ლოკაუტი.

სოც.-დემოკრატების ფრაქციას სახელმწიფო სათათბიროში შეაქვს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიმართ, შეკითხვა საჩითავ მრეწველობის ლოკაუტის თაობაზე; შეკითხვაში აღნიშნულია საქარხნო ინსპექციის უმოქმედება, რაც ხელს უწყობს მრეწველთა პოლიტიკის გაყვანას ცხოვრებაში და რაც ხიფათს უმზადებს მუშათა კლასს თავის უფლებათა დაცვას ბრძოლაში. შეკითხვაში მინისტრს ეკითხებიან, რა ზომებს მიიღებს იგი, რომ საქარხნო ინსპექციას თავისი პირ და პირი მოვალეობა აასრულებინოს. შეკითხვაზე ხელი უწერია ოპოზიციის წარმომადგენლებს და აგრეთვე ზოგიერთ ოქტომბრისტებს.

მემარჯვენეთა პროექტი ახალ საარჩევნო კანონისა.

შეკითხვათა კომისიაში პურიშკევიჩმა და ხვოსტოვმა განაცხადეს, რომ მემარჯვენეთა ფრაქცია ამზადებს ახალ საარჩევნო კანონის პროექტს და იგი ახლო მომავალში წარედგინება სათათბიროსა.

„სახალხო გაზეთის“
განცხადება

ახალ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ კვლავ აცხადებს, რომ **იანვრის ნომრები აღარ მოეპოვება.** ამიტომ ამ ხელის-მომწერთა მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს და იანვრის ნომრებს ვერავის გაუგზავნის.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

14 თებერვალი.

სტამბოლი. ადრიანოპოლის კომენდანტმა მოწოდებით მიჰმართა მცხოვრებთ და ჯარს, ნუ შეავიწროებენ ქრისტიანებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შუქრი-ფაშა მკაცრ ზომების მიღებას ემუქრება.

ბელგრადი. რადგანაც საომარი მოქმედება შეწყვეტილია, მთავარი ბინა სკოპლიედან ნიშში გადაიტანეს.

ათინა. ოფიციოზი „ესტია“ უარყოფს ცნობას, ვითომც ეპირის ნაპირზე საბერძნეთის ჯარი არტილერიით გადასულიყოს.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

14 თებერვალი.

სტამბოლი. საფრანგეთის ჯავსნოსნები „ლეონ გამბეტა“ და „ვიქტორ იუგო“, ინგლისისა—„ზელანდია“ და ავსტრიისა „ელისავეტა“ გალიპოლში გაემართნენ.

ბერლინი. „კელნიშე-ცაიტუნგი“ უარჰყოფს იმ სამწუხარო ცნობებს, ვითომც გერმანიის დირიჟაბლები ღამ-ღამობით ინგლისში დაჰფრინავდნენ. სამწუხაროა,—დასძენს „ცეიტუნგი“, რომ ინგლისის სპეციალისტებს და სახელმწიფო დაწესებულებათ არ შეუძლიანთ გააქარწყლონ ყალბი და ბოროტი ცნობები, რაც ასე ძალიან აღელვებს ხალხსაო.

ვენა. „ფრემდენბლატი“ უარჰყოფს გაზეთებში მოყვანილს ცნობებს, ვითომც „ფრემდენბლატის“ მეთაურწერილსა და მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვას შორის რაიმე წინააღმდეგობა ყოფილიყოს.

პარიზი. ყველა მიმართულების გაზეთები განაგრძობენ პრეზიდენტთან ხელმწიფე იმპერატორის მიწერილ წერილის განხილვას.

ლონდონი. გრეის მონაწილეობით ელჩთა თათბირის სხდომა მოხდა.

პარიზი. მინისტრთა საბჭოში ფინანსთა მინისტრმა შეიტანა პროექტი, სახელმწიფო დაცვის გასაძლიერებლად გაიცეს 500 მილიონი ფრანკი.

ლონდონი. რეიტერი იუწყება, რომ ალბანეთის საზღვართა მთავარ საკითხებში დიდ სახელმწიფოთა შეთანხმების იმედი არისო. საომარ მოქმედების გაგრძელება სკუტარის ოლქში ფრიად ხელს უშლის საკითხის საბოლოო გადაწყვეტასაო.

მადრიდი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა: ესპანიის კაბინეთს აზრად არა აქვს კავშირი შეჰკრას იტალიასთან, ან სხვა სახელმწიფოსთან. ესპანია განაგრძობს ყველა სახელმწიფოსთან მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებასო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

13 თებერვალი.

საზღვარ-გარედ

ბერლინი. საეროვნო საბჭოს კომისიამ გადასწყვიტა სენ-როტარდის ხელშეკრულება არ დაამტკიცოს.

ვაშინგტონი. სენატმა და პალატამ შრომის სამინისტროს დაარსების ბილი მიიღეს.

წარმომადგენელთა პალატამ არ მიიღო საზღვაო კომიტეტის მიერ წარდგენილი გეგმა ორ ჯავშნიან გემის აგების თაობაზე. მცირე ხმის უმრავლესობით პალატამ დაადგინა ფული გადასდოს ერთი გემის ასაგებად.

ტაფტმა კონგრესს მიჰმართა წინადადებით, შეერთებულ შტატებში ხარჯთ-აღრიცხვის სისტემა შემოიღონ.

ამერიკის ელჩმა ნიკარაგუაში ხელშეკრულება დასდვა, მიეცეს ნიკარაგუას ყელზე გაჭრილ ოკეანეთა შემაერთებელ არხის მონოპოლია ხელშეკრულების ძალით, შეერთებული შტატები სამ მილიონს გადაიხდის.

ციციკარი. გუბერნატორმა რუსეთის მთავრობას აცნობა ჩინეთის ხალხისადმი მიმართვა, სადაც უარყოფილია ხმები, ვითომც ჩინეთის ჯარი რუსეთთან ომს აპირებდეს, ან კიდევ რუსეთი ემზადებოდეს ჩინეთთან საბრძოლველად. გარნიზონების საერთო მოქმედებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას ხუნხუზობა.

პარიზი. ყაჩაღობის გულისთვის ოთხ კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ორს მუდმივი კატორღა. დანარჩენებს სხვა-და-სხვა ვადით ციხე და კატორღა.

ლონდონი. 13 თებერვალს სუფრაჟისტებმა ნოტინგემში რამდენიმე საფოსტო ყუთი დასწვეს. პონტიპულის მახლობლად გადასჭრეს სატელეგრაფო და რკინის გზის მავთულები. ვიმბლედონში და როგემპტონში შეიპყრეს ქალები, რომელნიც სპორტის კლუბების პავილიონის გადაწვას აპირებდენ. ჰემსტედში ბრბომ შეიპყრო ქალი, რომელიც სალებავით სავსე ვედროთი დაიარებოდა და მატარებლებს აწერდა „ქალთა საარჩევნო უფლება“. ბრბომ სალებავი ქალს თავზე ჩამოასხა. სუფრაჟისტების მიტინგები სოუტგემპტონში და ვორტინგში ბრბომ გაფანტა. პანკჰერსტმა გაზეთებში განაცხადა, რომ შეპყრობის პირველ დღიდანვე სიმშილობა დაიწყოთ.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატის კულუარებში ლუკაჩს ნაციონალისტი დეპუტატები აღტაცებით მიეგებნენ. ზიჩის თანამდებობაზე დანიშნეს იანკოვიჩი. ოპოზიცია სხდომას არ დასწრებია.

მიულჰეიმი. დილით სამხრეთ ბადენში მიწა იძრა.

ლვოვი. სეიმის საარჩევნო რეფორმის კომისია რამდენიმე დღეა იხილავს რეფორმის არსებითს დებულებებს. უმრავლესობამ მიიღო მუხლი შესახებ ოლქთა წარმომადგენლების ნორმების შეზღუდვისა. ამის შემდეგ უკრაინელებმა და პოლონელთა პარტიის წევრებმა განაცხადეს, რომ უკმაყოფილების ნიშნად სხდომას აღარ დაესწრებიანო.

ტოკიო. ქვედა პალატა ახალ კაბინეთს კმაყოფილებით მიეგება.

რუსეთი.

პეტერბურგი. რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულზე დასასწრებლად ბუხარესტის ემირი ჩამოვიდა.

სენატმა უყურადღებოდ დასტოვა ექიმ პანჩენკოს თხოვნა, საქმის ხელახლად გარჩევის თაობაზე. პანჩენკოს, ბუტურლინის მოწამვლისთვის, კატორღა აქვს გადაწყვეტილი.

პეტერბურგი. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში დაარსდა საბჭო, რომელსაც მინდობილი აქვს განიხილოს რუსეთში სავაჭრო-სამრეწველო პალატის დაარსების საკითხი.

პეტერბურგი. სახალხო განათლების მინისტრი საზღვარ-გარეთის სემინარიებში ჰგზავნის რუსეთის უმაღლეს სასწავლებლების 12 ლაურეატს, პროფესორობისთვის მოსამზადებლად.

მონღოლეთის მისიის თავი მოსკოვიდან პეტერბურგში დაბრუნდა რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულზე დასასწრებლად.

მოსკოვი. მოსკოვის სამხედრო საავადმყოფოში აღმოჩენილ ბოროტმოქმედების საქმის გამო, საავადმყოფოს ნაუფროსალს პოდპოლ. ზახაროვს მისაჯა ერთი წლით გამასწორებელი რაზმი და 12,000 მ. ჯარიმა, კომისარ ილინს 2 $^{1}/_{2}$ წლ. გამასწორებელი რაზმი და 5,000 მ. ჯარიმა, კომისარ გოლუბევს 500 მან. ჯარიმა. კომისარი რიხტერი სასამართლომ გაამართლა.

კიევი. ანდრუსოვოს სადგურზე ერთმანეთს დაეჯახა საქონლისა და სამგზავრო მატარებლები. მძიმედ დაშავდა მემანქანის თანაშემწე, სუბუქად—რკინის გზის ხუთი მოსამსახურე და ექვსი მგზავრი.

ქალ. ტიმეს მკვლელობა

პეტერბურგის მაძებარ პოლიციის სამმართველოში ჩვენება ჩამოართვეს ქალ. ტიმეს მკვლელობის გამო შეპყრობილთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელედ ნამყოფ დოლმატოვსა და სახელმწიფო ბანკის მოხელედ ნამყოფს ფონ-გეისმარ[illegible]რველად ჩვენება გეისმარს ჩამო[illegible]ვეს. გეისმარმა დაწვრილებით უამბოთ, როგორ მოხდა მკვლელობა.

მკვლელობის წინა ღამეს დოლმატოვს ტიმესთან ეძინა. დილით დანიშნულ დროს ტიმესთან მივიდა გეისმარი. კარი თვით ქალბატ. ტიმემ გაუღო. ძლიერ გაუხარდა სტუმრის მისვლა. შეიპატიჟა გეისმარი სასტუმროში, სადაც დოლმატოვი იმყოფებოდა. ტიმე ძლიერ მხიარული იყო, იცინოდა, ლაპარაკობდა. დროს დაკარგვა აღარ უნდოდა დოლმატოვს და შეუდგა განზრახულ გეგმის სისრულეში მოყვანას. დოლმატოვი წამოდგა და მიუახლოვდა ტიმეს.

„უკვე მისდიხართ?“ — შეეკითხა ტიმე და გაუწოდა ხელი გამოსამშვიდობებლად. დოლმატოვმა ტიმეს ხელზე კოცნა დაუწყო. ეს იყო ნიშანი მკვლელობის დასაწყისისა. გეისმარმა ამოიღო ჯიბიდან ტყავ-გადაკრული მავთულის წკეპლა და რამდენჯერმე გადაუჭირა ტიმეს. ტიმემ ოდნავ შეჰყვირა და შეტორტმანდა. დოლმატოვი ხელზე კოცნას განაგრძობდა. გეისმარმა ერთხელ კიდევ გადაჰკრა წკეპლა. გონებამიხდილი ტიმე დაეცა. დოლმატოვი მივარდა და დახრჩობა დაუწყო. გეისმარი დერეფანში გავიდა, ჩაიცვა პალტო და ხელმეორედ შემობრუნდა ოთახში. მან გადასცა დოლმატოვს ხელჩო. აქ გათავდა გეისმარის მისსია. დოლმატოვმა დაუწყო გონება მიხდილ ტიმეს ხელჩოთი აკუწვა. მთლად სისხლში მოისვარა. ტანისამოსი და პირისახე. ტიმეს სიცოცხლის ნიშნები კვლავ აჩნდა. მაშინ დოლმატოვმა, გეისმარის რჩევით, საძილო ოთახიდან გამოიტანა ბალიში დაადო ზედ ტიმეს და მთელი სხეულით ზედ დააწვა. ამ დროს მკვლელმა შეამჩნია ტიმეს ხელზე ბეჭედი, რომელიც ბრილიანტებით იყო შეჭედილი. დოლმატოვმა წაართო ხელიდან ბეჭედი და ჯიბეში ჩაიდო. ბარ. გეისმარმა მაგიდაზე დაინახა ოქროს ძეწკვი და ისიც ჯიბეში იკრა. ამ ნივთების ღირებულება 200 მან. უდრის. ამ დროს დერეფანში ტელეფონის ზარი დარეკეს. მოისმა ფეხის ხმაც. დიდ ხანს დაყოვნება ვეღარ გაბედეს მკვლელებმა და კარისკენ გაემართნენ. აქ მათ ეტლი ელოდდათ. ჩასხდნენ ეტლში და სასტუმრო „ფრანციაში“ გაემართნენ, სადაც გეისმარი სცხოვრობდა. სასტუმროში გამოიცვალეს ტანისამოსი და რესტორან „ვენაში“ წავიდნენ. იქ ისაუზმეს. მკვლელნი დიდის ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს გაზეთებში ტიმეს მკვლელობის გამოძიებას.

გეისმარი სუფთად და კოპწიად არის გამოწყობილი. იგი დაუზარებლივ აძლევს ჩვენება. გეისმარი დამნაშავედ თვის მეგობარ დოლმატოვსა სთვლის, თავისთავს კი გამოუცდე-

---

კავშირი ჰქონდა როგორც ერთთან, ისე მეორესთან, და მათის მეთვალყურეობის ქვეშ ვითარდებოდა. დასაწყისში საქართველოს ეკლესია ანტიოქიის საეკლესიო კანონებს ემორჩილებოდა. მღვდელ-მთავრები საქართველოს ეკლესიას ბიზანტიასა და ანტიოქიისგან ეგზავნებოდა. გარნა, მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესია იმავ თავითვე იმის ცდაში იყო, საეკლესიო წესრიგი საკუთარ ენაზე ჰქონოდა, და საღმრთო წერილი ქართულად ითარგმნა. 381 წელს ქართველი ეპისკოპოსი პანთოპილოსი კონსტანტინეპოლის კრებას დაესწრო. მეხუთე საუკუნეში, ვახტანგ გორგასლანის მეფობაში (449—499), ბიზანტიის იმპერატორის ანასტასიუსის თანხმობით საქართველოს სატახტო ქალაქის მცხეთის მთავარ ეპისკოპოსს **კათალიკოსის** ხარისხი მიენიჭა. გარნა, რადგან საქართველოს ეკლესია ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდა, პირველი კათალიკოსი პეტრე ანტიოქიიდან იყო გამოგზავნილი; პეტრე დამოუკიდებელი არ იყო, არამედ ემორჩილებოდა ანტიოქიის პატრიარქს. საზოგადოდ მეხუთესა და მეექვსე საუკუნეებში საქართველოს კათალიკოსი ანტიოქიის პატრიარქებს ემორჩილებოდნენ, მათგან უნდა მიეღოთ კურთხევა და წმიდა მირონი; ამავე დროს პატრიარქს ეძლეოდა შემოსავალი იმ მამულებისა, საქართველოს მეფენი და დიდებულნი ეკლესიას რომ სწირავდნენ.

მეექვსე საუკუნეში, ფარსმან მეფის დროს (542—557), მცხეთისა და მთელის საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსი არჩეულ იყო თვით საქართველოს სამღვდელოებისაგან; მხოლოდ კურთხევისათვის ანტიოქიას მიდიოდნენ.

მეშვიდესა და მერვე საუკუნეებში, ანტიოქია რომ დაეცა და მუსულმანებმა დაიპყრეს, საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური გახდა.

ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილაკტემ (744—750) ანტიოქიის მღვდელმთავართა კრება მოახდინა. ამ კრებამ დაადგინა — ქართველ მღვდელმთავართა კრებას მიჰნიჭებოდა უფლება თავიანთ წრისავე აერჩიათ კათოლიკოსი, რომელსაც უფლება ექნებოდა გაემწესებინა და ეკურთხებინა ეპისკოპოსნი; მხოლოდ პატრიარქმა თავისთვის უფლება დაიტოვა — საქართველოში გაეგზავნა ეგზარხოსი, რომ იქაურ ეკლესიისათვის თვალყური ედევნებინა. ამ კრებაზე იოანე ქართველი გამწესებულ იქმნა საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის პირველ ქართველ კათოლიკოსად, რომელსაც თვისთა ლოცვათა შინა უნდა მოეხსენებინა ანტიოქიის პატრიარქი. ამ უკანასკნელს საქართველოს ეკლესიისგან ყოველწლიურად მოსდიოდა ასი ოქრო.

მეცხრე საუკუნიდან განვითარების გზას დაადგა საქართველოს როგორც პოლიტიკური, ისე საეკლესიო ცხოვრება. მეფეებმა დავით კურაპალატმა, ბაგრატ მე-III-მ, გიორგი I-მა და ბაგრატ მე-IV-მ საქართველო განაძლიერეს, და საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსს მიენიჭა ხარისხი შეერთებულ საქართველოს ეკლესიის პატრიარქის.

მეთერთმეტე საუკუნიდან საქართველოს ეკლესიამ შესწყვიტა გადასახადის ძლევა ანტიოქიასათვის. ანტიოქიის პატრიარქმა თეოდოსიმ (1058—1076) ნება დართო ეკურთხებინა მირონი.

ანტიოქიის კრებამ, პეტრე პატრიარქის თავმჯდომარეობით მოწვეულმა (1053—1057), საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურად აღიარა. იმ დროიდან მოკიდებული საქართველოს ეკლესია ლოცვითა შინა, მართალია, იხსენიებდა ანტიოქიის პატრიარქის სახელს, მაგრამ ეს ხსენება ნიშანი იყო არა საეკლესიო დამოკიდებულებისა, არამედ საეკლესიო მეგობრობისა და თანხმობისა. ანტიოქიის პატრიარქის პეტრეს მოადგილემ თეოდოსმაც გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა. **ამავე დროს ანტიოქიის პატრიარქს აცნობეს, რომ საქართველოს კათოლიკოსი ამიერიდან თავისს ეკლესიას თვითონ განაგებს აღმოსავლეთის პატრიარქისაგან დამოუკიდებლად.**

ამ გვარად, საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალია ფაქტი იყო, საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიის კანონის მიერ აღიარებული. მეთორმეტე საუკუნეში სახელოვანი ბიზანტიელი კანონისტი ანტიოქიის პატრიარქი თეოდორე ვალსამონი, კონსტანტინეპოლში, ანტიოქიის ეკუმენიკალურ კრების დადგენილებათა მეორე მუხლის განხილვაში ივერიის ეკლესიას აღმოსავლეთის ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის იხსენიებს; ამბობს, რომ ივერიის არქიეპისკოპოსი ანტიოქიის კრებამ დამოუკიდებლად აღიარა. ბიზანტიელი კანონისტი, მათიას ვლასტარი, ცნობილ „ელემენტარულ სინტაგმა“-ს შემდგენელი, ამბობს, რომ ივერიის ეკლესია აღმოსავლეთის არც ერთ პატრიარქთაგანს ექვემდებარება და ანტიოქიის კრებამ საქართველოს კათოლიკოსს ნება დართო ეპისკოპოსები აკურთხოსო. ბიზანტიელი მწერალი გიორგი კოდინი კუროპალატი მეთოთხმეტე საუკუნისა აგრეთვე ამბობს, რომ ბიზანტიის პატრიარქი ყოველთვის ამ სიტყვებით მიჰმართავდა ხოლმე ივერიის კათოლიკოსსაო: „საყვარელო ძმაო და თანამოღვაწევ!“ ივერიის კათოლიკოსი ბიზანტიის მიერ ასე იხსენიებოდა: „უუღვთიებრივესო მთავარ-ეპისკოპოსო, სრულიად ივერიის კათოლიკოსო, ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო“.

და ამ ნაირად, მეთერთმეტე საუკუნიდან მოკიდებული საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო და მისი მართვა-გამგეობა სწარმოებდა ხალხისა და მეფეთა სურვილის თანახმად. დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობაში, მეთერთმეტე საუკუნიდან მეცამეტემდე, საქართველოს ეკლესიამ უუმწვერვალეს დიდებას მიაღწია; ეს ეკლესია თავისდღეში უპატივცემულოდ არ მოეპყრობია საეკლესიო წეს-კანონებს და თავისდღეში არ დაუთრგუნავს სხვათა უფლებანი. განავითარა თავისი იურისდიქცია, იწვევდა თავისს საკუთარს საეკლესიო კრებებს. მართალია, როცა საქართველო მეთოთხმეტე საუკუნეში პოლიტიკურად გაიყო, მისი ეკლესიაც გაიყო, და ხსენებულ საუკუნის დასასრულში დასავლეთ საქართველომ საკუთარი კათოლიკოსი აირჩია; გარნა ეს შეეხებოდა ეკლესიის შინაურ მმართველობას და იყო შედეგი პოლიტიკურ მდგომარეობისა და თავისდღეში არ შეჰხებია ეკლესიის საგარეო დამოკიდებულებას.

1319 წლიდან, როცა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსად არსენი იყო არჩეული, ორი კათოლიკოსი იყო საქართველოში აღმოსავლეთისა და დასავლეთ საქართველოს ეკლესიის უფროსებად. ეს ფაქტები აღნიშნული აქვთ ანტიოქიის პატრიარქს მაკარიოსს (1648—1672), დოსითეოს იერუსალიმელს (1669—1707) და ქრიზანტეუს იერუსალიმელს (1707—1731). ეს პატრიარქები სავსებით აღირებენ ორივე კათოლიკოსის ტიტულებს. დოსითეოსი ასე უწოდებდა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსს: „უუმართებულესი კათოლიკოსი იმერეთისა, ოდიშისა, გურიისა, აფხაზეთისა და სრულიად დასავლეთ საქართველოისა მეუფე გრიგოლ, ქრისტეს მიერ ჩვენი საყვარელი ძმა“. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოის კათოლიკოსის ტიტული ასეთი იყო: „უუმართებულესი კათოლიკოსი ქართლისა, კახეთისა, ალბანეთისა, აღმოსავლეთ ივერიისა“.

ასეთნი იყვნენ უფლებანი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა, აღმოსავლეთის ეკლესიათა საეკლესიო კანონების თანახმად მოპოვებულნი. ამ უფლებებით სარგებლობდა ეს ეკლესია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. ყოველსავე ამას ჰმოწმობენ ბერძნულნი, არაბულნი, ქართულნი და სხ. წყარონი, აგრეთვე საზოგადო ისტორია საქრისტიანო ეკლესიისა, საკანონო უფლებანი და მათი ისტორია; ამასვე ამტკიცებენ თანამედროვე ისტორიკოსნი და გამოკვლევანი იმ რუს, ქართველ და ევროპიელ მეცნიერთა, რომელთაც უმუშავნიათ საეკლესიო კანონის ამ ფრიად საყურადღებო კითხვის გამოკვლევასა და საქართველოს ეკლესიის შესწავლაზე“.

ამის შემდეგ თხოვნაში ვრცლად არის მოხსენებული, თუ რა მდგომარეობაში არის დღეს ქართული ეკლესია და რა მიზეზების წყალობით დაჰკარგა მან შინაური დამოუკიდებლობა.

მეხუთე და უკანასკნელ დამატებაში (გვ. 136), მოთავსებულია საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების მოკლე განხილვა, ამოღებული Neal-ის წიგნიდან: Ecclesiology of the Holy Eastern Church“.

აღნიშნულია ფაქტი ბიზანტიისა და სპარსეთის (884 წ.) გავლენისა. სხვათა შორის, აღნიშნულია განსხვავება ქართველთა და სომეხთა საეკლესიო ხუროთმოძღვრებას შორის.

თ. სახოკია.

ლოზისა და ახალგაზრდობის მსხვერპლად, მისი მამა გენერალ-ლეიტენანტი იყო. სიკვდილის შემდეგ დედასა და შვილს მამამ საკმაო ქონება დაუტოვა. გეისმარი ცალკე სცხოვრობდა და ყოველთვის ფულის საჭიროებას განიცდიდა. სწავლა მიიღო პეტერბურგის გიმნაზიაში. იურიდულ ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ კურსი ვერ დაამთავრა. შევიდა სახელმწიფო ბანკში; სამსახურს თავი ვერ დაუდო, ავადმყოფობა მოიმიზეზა.

გეისმარის შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს დოლმატოვს. დოლმატოვმა დაადასტურა გეისმარის ჩვენება, დოლმატოვმა უარჰყო, ვითომც ტიმეს ფულით ეცხოვროს.

„თვითონაც საკმაო ფულს ვიღებდი“,—სთქვა დოლმატოვმა; რა გზით? ამისი თქმა კი ვერ მოახერხა.

მკვლელობის მიზეზს არ ასახელებდა. მეორედ როცა ჩამოართვეს ჩვენება, მიზეზი გამოირკვა. დოლმატოვს ჰკითხეს როგორ დაუახლოვდა ტიმეს და რა მოსწონდა მისი? „მისმა ბრილიანტებმა და საყურეებმა მომხიბლესო“, უპასუხა დოლმატოვმა. დოლმატოვს ტიმე ქუჩაში გაუცვნია. ტიმეს ბევრი რამ უთქვამს თავისი წარსულიდან. დოლმატოვს ეგონა ის მდიდარი. ბრილიანტების ბრჭყვიალი და კრთოლვა თვალსა ჰკრიდა დოლმატოვს.

დოლმატოვი ქარაფშუტა ცხოვრებას ეწეოდა; მანაც ვერ დაუდო სამსახურს გული.

მათი საქმე გადაეცა სეგანგებო საქმეთა გამომძიებელ ალექსანდროვს.

რუსეთი

შეკითხვა ლენის ამბების გამო.

წარსულ კვირის დამლევს მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელთა თათბირი მოხდა. თათბირის მსჯელობის საგანი იყო ოქტომბრისტთა მიერ შეტანილი შეკითხვა ლენის ამბების თაობაზე. „რუსკაია მოლვის“ სიტყვით, კოკოვცევს განუცხადებია: მთავრობა ამ შეკითხვით ფრიად უხერხულ მდგომარეობაშია ჩაყენებულიო. კოკოვცევს მწუხარება გამოუთქვამს, რომ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ტიმაშევმა ხმა არ მისცა კოკოვცევის წინადადებას, რომლითაც ლენის საქმეების ლიკვიდაციას მოითხოვდა, შეთხვე სათათბიროს შეკრებამდე. მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთ კრებაზე პრემიერმა წინადადება მისცა საბჭოს წარმოედგინა სენატორ მანუხინს ვადიანი მოხსენება, მაგრამ ეს წინადადება ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ხმის უმეტესობით უარჰყვეს. კოკოვცევის აზრით, მაშინ მთავრობამ დიდი ტაქტიკური შეცდომა ჩაიდინა. სახელმწიფო კონტროლიორმა ხარიტონოვმა მხარი დაუჭირა კოკოვცევის მოსაზრებას და, სხვათა შორის, სთქვა: ოქტომბრისტთა საქციელი ადვილი ასახსნელიაო. თითქმის ერთი წლიწადი გავიდი მას შემდეგ რაც უბედურება მოხდა და დღევანდლამდე მთავრობას ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიუღია. ტიმაშევმა უპასუხა: მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ხომ სათათბიროს ვერ დააკმაყოფილებს, ეს უკვე ცნობილია და ამისთვის მომზადებული უნდა ვიყვნეთო, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას სხვანაირი ხასიათიც აქვსო. სენატორ მანუხინის აზრით, ტრეშჩენკოვის გარდა სხვა დამნაშავე არავინ არის. აქედან ცხადია, რომ მთავრობის დადგენილება არ უნდა მიდიოდეს რევიზორის დადგენილებაზე შორს, რომელიც აღჭურვილი იყო უმაღლესის ნდობით. მინისტრი ამგვარ განმარტების მიცემას აპირებს სახელმწიფო სათათბიროში.

სამეცნიერო აკადემია და კასო.

ამ დღეებში სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკიტინმა ინახულა სახალხო განათლების მინისტრი კასო, მის ახალ განკარგულების გამო, რომლის თანახმადაც, აკადემიის ყველა წევრი, მათ შორის ნამდვილი წევრნიც, ხელმეორედ უნდა დამტკიცონ. მინისტრმა განუმარტა, რომ ამ წინადადებაში უნებლიეთი შეცდომა შეიპარაო. საჭიროა არა წევრთა ხელმეორე დამტკიცება, რომელნიც უკვე უმაღლესად არიან დამტკიცებულნი, არამედ აკადემიის შტატის მოხელეთა დამტკიცებაო.

გამორიცხული გიმნაზიელები.

სახალხო განათლების სამინისტრომ, „რუსკაია მოლვის“ სიტყვით, მიწერილობა დაუგზავნა გიმნაზიებს, რომლებშიაც სწავლობდნენ გამორიცხულ მოსწავლენი, რომ მოწმობებში ჩაწერილი ჰქონდეთ მოსწავლეებს საპედაგოგიო საბჭოს მიერ მათი დათხოვნა; და აგრეთვე ისიც რომ დათხოვნილ მოსწავლეებს ეკრძალებათ სხვა სასწავლებლებში შესვლა.

სახელმწიფო სათათბიროს დადგენილების შემდეგ კი გამოიცა ახალი განკარგულება, მოწმობებში აღენიშნოთ, რომ აღნიშნული მოწაფეები თავისი სურვილით გავიდნენ სასწავლებლიდანო. მოსკოველმა ქველმოქმედმა შახოვმა, რომელმაც წინადაც აღუთქვა დახმარება ვიტმერის გიმნაზიიდან გამორიცხულ მოწაფეებს, ეხლაც მიჰმართა: ჩემის ხარჯით წადით პარიზში სწავლის გასაგრძელებლადო. შახოვი თითო მოწაფეს თვეში 75 მანეთს მისცემს. შემდეგაც ჰპირდება შახოვი სწავლის გაგრძელებაში დახმარებას. ზოგიერთი დათხოვნილ გიმნაზიელს თანხმობა განუცხადებია შახოვისათვის.

გუბერნატორთა თათბირი.

გუბერნატორთა თათბირზე ფრიად ვრცელი მოხსენება წაიკითხა ხულიგანობის თაობაზე პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ბელეცკიმ. მოხსენებაში ხულიგანებთან საბრძოლველ ზომათა თაობაზე აღნიშნული იყო, რომ ყოველივე ზომა უნდა საკანონმდებლობით იყოს დამტკიცებულიო, მაგრამ, რადგანაც ხულიგანობამ ამ ბოლო დროს ფრიად მწვავე და ფართე ხასიათი მიიღო, ხოლო საკანონმდებლო გზით ზომების მიღებას ბევრი დრო დასჭირდება, ამისთვის საჭიროა დროებითი ზომები იყოს მიღებული მათ ასალაგმავადო.

უცხოეთი

ინგლისი

ლოიდ-ჯორჯის სახლში ყუმბარის აფეთქება.

გაზეთები დაწვრილებითი გადმოგვცემენ ლოიდ-ჯორჯის სახლში 6 თებერვალს მომხდარ აფეთქების ამბავს. ლოიდ-ჯორჯის სახლი ახლად აგებული იყო და თვითონ კანცლერი ჯერ შიგ არა ცხოვრებდა. ბოროტ-გამზრახველნი ალბად წინადვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყუმბარის აფეთქებას ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყვებოდა. ნივთიერი ზარალი კი დიდია. ყუმბარა გასქდა მოსამსახურეთა საძილო ოთახში, დილის ექვს საათზე. ოთახის ჭერი ჩამოიქცა, იატაკი დაინგრა. სახლს სახურავი მოეგლიჯა, ფანჯარები ჩაილეწა და კედლები მთელ სიგძეზე დაირღვა. იმავე ოთახში, აფეთქების შემდეგ, აღმოუჩენიათ მეორე ყუმბარა, რომელიც უბრალო შემთხვევის გამო ვერ აფეთქებულა. ბოროტ-გამზრახველნი უჩარჩო ფანჯრებიდან შემძვრალან. ყუმბარები გატენილი იყო ჩვეულებრივის წამლით. დამნაშავეთა კვალისათვის ჯერ ვერ მიუგნიათ. სოფლელებმა განაცხადეს, რომ დილის ოთხ საათზე, სოფელზე ავტომობილმა გამოიარაო. ეჭვ გარეშეა, რომ ბოროტ-გამზრახველებს სახლის გადაბუგვა სწადდათ, რადგანაც ყველა ოთახებში ნავთით გაჟღენთილი ქაღალდები ეყარა. თვით ლოიდ-ჯორჯი იმყოფება რივიერში და პარლამენტის მუშაობის განახლებისთვის დაბრუნდება.

საზოგადოებრივი აზრი ამ საქმეს სუფრაჟისტ ქალებს აწერს. მართლაც, მიტინგებზე ხშირად განუცხადებიათ ქალებს, მინისტრების სიცოცხლეს დავინდობთ, მაგრამ მათ ქონებას კი მუსრს გაავლებენო. ეს განცხადება სრულიად ეთანხმება აღნიშნულ ბოროტ-მოქმედობას. თვით სუფრაჟისტები სხვა-და-სხვა აზრს გამოსთქვამენ ამ საქმის თაობაზე. ქ-ნი დრუმონდი ამბობს: „დიდებული,—ჩინებულად მოფიქრებული, და საუცხოვოდ შესრულებული საქმეაო. ეხლა ყველანი დაინახვენ ქალების გამბედაობას; ლოიდ-ჯორჯმა უნდა შეიგნოს, რომ მდგომარეობა სახუმარო არ არის“. მისს კერი, მდივანი სოციალ-პოლიტიკურ კავშირისა გაკვირვებული ჰკითხულობს: „რათ უნდა ჩაედინათ ეს საქმე უეჭველად სუფრაჟისტებს?! ყველას შეეძლო ამ საქმის ჩადენა, რადგანაც ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ ბევრია ამხედრებულიო“.

იტალია

მომავალი არჩევნები იტალიაში.

მომავალი საპარლამენტო არჩევნები ახლად გამოცემულ საარჩევნო კანონით უნდა მოხდეს. ახალმა კანონმა ამომრჩეველთა რიცხვი 3 მილიონიდან 8 მილიონამდე აიყვანა. ამიტომ იტალიის საზოგადოება დიდის ხალისით ემზადება არჩევნებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ან ზაფხულს და ან შემოდგომაზე მოხდება. კლერიკალები აპირებდნენ არჩევნებში ფიცხელი მონაწილეობა მიეღოთ, მოეწყოთ ორგანიზაციები და ამ გზით პალატაში გაეყვანათ 60 წევრი კლერიკალებისა, მაგრამ პაპმა სურვილი არ გამოსთქვა კლერიკალ დეპუტატთა გამრავლებისა. მისგამო კლერიკალების ყოველივე ცდა იქით კენ იქნება მიმართული, რომ პალატაში ანტიკლერიკალთა მოწინააღმდეგენი გაიყვანონო. მომავალ არჩევნებზე ორი ბლოკი იბრძოლებს:—პირველი კონსერვატორთა, ზომიერ ლიბერალთა და კათოლიკეთა, მეორე—რადიკალების რესპუბლიკანელების, ანტიკლერიკალების და სოციალისტების ნაწილი. როგორც რომის კორესპოდენტი „ტაიმს“-ს ატყობინებს, მთავრობა ეცდება პარტიებისა თანასწორობა არ დაირღვას და პარტიათა შორის ძალთა განწყობილება ისეთივე დასტოვოს, როგორც ეხლანდელ პალატაშია. მთავრობის აგენტები ხან კონსერვატორებს დაეხმარებიან, ხან რადიკალებს.

თეატრი და ხელოვნება

ხაშური. კვირას, 10 თებერვალს, რკინის-გზის კლუბში, კ. რ. გაგუამ რუსულად წაიკითხა ლექცია „ისტორია, როგორც მეცნიერება, და მისი დამოკიდებულება ბუნების-მეტყველებასთან“.

თეზისი: 1) ისტორიის განვითარება საბერძნეთში, 2) საგანი ისტორიისა, 3) არის თუ არა ისტორია მეცნიერება, 4) თუ ისტორია მეცნიერებაა, როგორია მისი დამოკიდებულება სხვა მეცნიერებასთან, 5) ინდივიდიალური (პირადი, კერძო) თვისება ისტორიისა, 6) პიროვნების მნიშვნელობა ისტორიაში და 7) ისტორიის მნიშვნელობა განათლებისა და ცხოვრებისათვის. ყველა ეს ბატონმა გაგუამ მშვენივრათ გადუშალა მსმენელთ, მოიყვანა და დაასაბუთა თითქმის ყველა გამოჩენილი ფილოსოფოსთა ნაწარმოებით და ბოლოს ხაზი გაუსო „თუ ადამიანს ჰსურს საზოგადოების კეთილი წევრი იყოს, უნდა ესმოდეს მისი ტკივილები, მისი დუხჭირი მდგომარეობა, მან უნდა შეუმსუბუქოს მას ეს ვარამიო“. ლექტორი დაუწყნარებელი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. საზოგადოდ, პროვინციელებს უცხო სიტყვათა სმენა არ ეხერხებათ და იმედია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ. დასასრულ მომღერალთა გუნდმა, ზახუტაშვილის ლოტბარობით მშვენივრათ შეასრულა რამოდენიმე ნომერი ქართული სიმღერისა. შემდეგ გაიმართა ლეკური და ევროპიული ცეკვა.

კარგს იზამს ბ-ნი ბახუტაშვილი, რომ შეადგენდეს მომღერალთა მუდმივ გუნდს, რაიცა დიდი სასიხარულო იქმნება აქაური საზოგადოებისათვის.

ლადო ცინცაძე.

ხაშური. ადგილობრივმა დასმა წარმოადგინა 4 მოქმედებიანი დრამა „ქრისტინე“ ე. ირეთელისა (ნინოშვილის მოთხრობა), რომლის შემოსავალი შესწირეს ღარიბ შეგირდებს ზემოქალის ორ კლასიან სასწავლებლისას. შემოსავალი იყო 118 მ. 18 კაპ. აქედგან 1 მ. შემოსწირა პროვიზორმა ბ. კოსაჩევსკიმ და წარმოდგენის მეორე დღეს, რაკი წარმოდგენას ვერ დაესწრო სხვა და სხვა მიზეზების გამო; შესწირა 1 მ. 50 კ. ბ. გ. ჩიქოვანმა, რისთვისაც ორივე პირს დიდ მადლობას უძღვნი. გასავალი—60 მ. 50 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 57 მ. 68 კაპ. საყოველთაოდ ამ დრამის წარმოდგენას ბლომად სჭირდება ხარჯი, მაგრამ ამდენი გასავალი რომ იყო, აიხსნება შემდეგ მიზეზებისაგან: ჩვენი ხაშურის განათლებული ქართველი ქალები ძალიან გულგრილად ეპყრობიან სცენას. ერთი თვე უნდა ელოდო რომ რომელიმე ქალმა მიიღოს მონაწილეობა წარმოდგენაში. ხაშურში არის მეორე (რკინის გზის) კლუბი, სადაც სდგამენ წარმოდგენებს რუსები. იქ ქალები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ. კარგი იქნება, რომ ჩვენმა განათლებულმა ქალბატონებმაც, მათ მიჰბაძონ. ხან ერთ ქალს შევევედრენ, ხან მეორეს, მესამეს, მაგრამ არც ერთი არ დათანხმდა. ამ ქალბატონებმა წამოაყენეს სულ სხვა და სხვა მიზეზები. მეტი ღონე არ იყო მსახიობი ქალები ტფილისიდან მოიწვიეს. ადგილობრივ ქალებიდან მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ქ-მა კამკამიძემ. ეს ქ-ნი ღებულობს მონაწილეობას სხვა და სხვა წარმოდგენებში და კარგათაც თამაშობს.

უღრმეს მადლობას ვუძღვნი ყველა იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ წარმოდგენაში.

ზემოქალის სკოლის ზედამხედველი
ა. მ. ოდიშარია.

შემოწირულობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) ივანე გიორგის ძემ ციციშვილმა: ა) პატარა კასრი, ბ) წყვილ ჩახსაკრავი, გ) კონჩხა და დ) ხის პატარა დოქი.

2) ივანე სოლომონის ძემ ბოკერიამ—ხუთი თეთრი ფული (მათ შორის ერთი ერეკლე მეფისა და ერთი ბიზანტიური).

3) ქართულ გიმნაზიის მე—VI კლ. მოწაფემ, იასონ ჯოჯაძემ—თეთრი ფული.

4) ქართულ გიმნაზიის მე-VII კლ. მოწაფემ გრიგოლ კიკნაძემ—შაი ფული.

5) ბ-ნმა სამსონ ფაღავამ—ჰიათურის მახლობლად ნაპოვნი ორი თეთრი ფული, ბიზანტიური და სასანიანთ დინასტიისა (ეს ფულები საზოგადოებას გადმოსცა ა. ხაბულიანმა).

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

წერ. რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და სხვა და სხვა გამოცემათა მოწოდებით საშუალება მოგვცეს აგვემუშავებინა ჯერეთ ღარიბი, კორბოულის იაკობ გოგებაშვილის სახელობაზე ახლად გახსნილი წიგნთსაცავ-სამკითხველო.

ამასთანავე ვადგენთ შემომწირველთა სიას: ქ. შ. წ.-კ. გ. მთავარი საზოგადოებამ—წიგნები 10 მ. ღირებული, „ნაკადულის“ რედაქციამ 10 მ. წიგნები, მიხეილ ს. გაჩეჩილაძემ 12 მ. წიგნები, მოსწავლე ვიქტორ ი. ნოზაძემ 12 მ. და ათი შაურის წიგნები, ივანე პ. როსტომაშვილმა 12 მ. წიგნები, სოსიკო მერკვილაძემ 8 მ. წიგნები, ტრიფონ ჯაფარიძემ 7 მ. წიგნები, ოლღა კვინიკაძისამ 4 მ. წიგნები, სერგი რ. გორგაძემ 3 მ. წიგნები, ქ. სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებამ 1 მ. და ათი შაურის წიგნები და ანასტასია წერეთლისამ 45 კ. წიგნები.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი საზოგადოება შემდეგაც არ დაიშურებს თავისს წვლილს და მით შემწეობას მისცემს ხსენებულ წიგნთსაცავ-სამკითხველოს არსებობისას.

მისამართი: Сачхери — Корбоули Для Корбоульской имени—Гогебашвили библіотеки.

გამგეობის წევრნი: მღ. ვლ. მაჭარაშვილი; მასწავლებლები კატო იოსელიანი
ალექსანდრე მაჭარაშვილი.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო, ბ-ნ ერწო-თიანეთის ბოქაულს ნიკოლოოზ იაკობის ძე ვაშაძეს, რომლის დახმარებით და მეცადინეობით, ამ სამოსწავლო წლიდან, ჩემდამი რწმუნებულს მრევლში გაიხსნა სამინისტრო სკოლა; მანვე შემოსწირა ორმოცი რვეული მოწაფეების დასარიგებლად.

ახალ სოფლის სამინისტრო სკოლის სამღვთო-სჯულის მასწავლებელი მღვდელი
ნიკოლოოზ ბაკურაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, სად. ს. 26 წ. ჩქარი № 2, დილ. 10 ს. 14 წ. საფოსტო № 4, ღამის 12 ს. 36 წ. სამგზავ. № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. ნარევი № 106, სად. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს. 38 წ. სახ. № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. 50 წ. სახ. № 4, სად. 9 ს. 4 წ. სახ. № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოს: ნარევ. № 106, სად. 7 ს. 26 წ.

ერევანსკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. წ.

ჯულფსკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსკენ: სახ.-საბ. № 6;5, სად. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. სახ. № 5 ნაშ. 3 ს. 46 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. ჩქარ. № 1, სად. 9 ს. 10 წ. სახ.-საბ. № 7, დღ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ, საფ. № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. სახ. № 6, სად. 5 ს. 56 წ. ნარევ. № 10[illegible], დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 8;7, სად. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 ნ, დღ. 11 ს. 2[illegible] წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. სახ.-საბ № 63, დილ. 5 ს. 30 წ. სახ.-საბ. № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. სახ.-საბ. № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. სახ.-საბ. № 69, სად. 7 ს. 53 წ. სახ.-საბ. № 71, სად. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. სახ.-საბ. № 62, დილ. 4 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 64, დილ. 7 ს. 8 წ. სახ.-საბ. № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. სახ.-საბ., № 68, სად. 6 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 70, სად. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. სახ. № 79, დილ. 10 ს. 14 წ. სახ. [illegible]1, ნაშ. 2 ს. 3 წ. სახ. № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. სახ. № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. სახ № 78, დილ. 11 ს. 2 წ. სახალ. № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. 82, სად. 6 ს. 55 წ. სახ. № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. სახ. № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. სახ. № 6, სად. 5 ს. 1 წ. სახ. № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. სახ. № 7 п. სად 7 ს. 24 წ. სახ. № 5 п, სად. 7 ს. 59 წ. სახ. № 25 г ნაშ. [illegible] ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. საფ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. სახ. № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. სახალხ. № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. სახ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. № 65, სად. 9 ს. 14 წ. სახ. № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. სახ. № 55, დილ. 5 ს. 58 წ. სახ. № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა
გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1 მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველ[illegible]ლეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასი ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტიანია, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები 3 და 4.

განცხადებანი

ემმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპურება
კონსულტატიურად.

ა. ს. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ზაზანახოვი: 10—11 ს. საზებით ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქ-ლი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზებით და ქალების ავადმ.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ა. ს. ნავასარდიანი.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის
ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.
მეხანიკური ნაწარმოები. 30.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„შ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	ფ. 50	კ.
ბავშვის მოვლა ნათაძისა	25	„
„ „ კომბიხა. ნათ. მაჩაბ.	40	„
დედაკაცის ხვედრი	15	„
მშობლები და მათი შვილები—როგორნიც უნდა იყვნენ და ზრდიდნენ	30	„
ჩვენს ქალებს. შტარის წერილები	20	„
სამი მსხვერპლი. დ. კარიჭაშვილისა	30	„
აკაკის საიუბილეო კრებული	25	„

Народная медицина въ Закавказскомъ Краѣ	70
Эскизы и Этюды. И. Хонэли	1 მ.

მიღებულია ახალი წიგნები:

Памятная записка объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ	50
Нетронутый уголокъ. Ведребисели	60
მცენარენი და ცხოველები ვ. რცხილაძისა	40
ვლადიმერ სარ ალექსი-მესხიშვილი, ბიოგრაფია, შედგენილი დ. კასრაძისა	50

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотн сти сред. гр. нас. 1141

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა;
თევზის მრეწველნი
ძმ.
მეზველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარო ი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში.
მოხარშული დოში, ზურგიელი,
და ყოველგვარი
შავი ხიზილალა

ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.